საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 602 2016 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„2011 წლის 25 იანვრის „საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის საგრანტო ხელშეკრულების (რუსთავის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი)" N2 ცვლილების შეთანხმების" დამტკიცებისა და ძალაში შესვლის თაობაზე

მუხლი 1.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ძალაში შესვლის მიზნით, დამტკიცდეს „2011 წლის 25 იანვრის „საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის საგრანტო ხელშეკრულების (რუსთავის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი)" N2 ცვლილების შეთანხმება".

მუხლი 2.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ:

ა) აცნობოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული ხელშეკრულების ცვლილების შეთანხმების დადების შესახებ;

ბ) შეატყობინოს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული ხელშეკრულების ცვლილების შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის საქართველოს მხრიდან დასრულების თაობაზე.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**